# კონსერვატორები საქართველოსთვის

საქართველოში შექმნილი მძიმე საიმიგრაციო კრიზისის პირობებში, როცა მოსახლეობის უზარმაზარი ტემპებით გადინების და უპრეცედენტოდ შემცირებული შობადობის ფონზე ქვეყანაში ხდება პაკისტანიდან, საუდის არაბეთიდან, ირანიდან და რეგიონის სხვა სახელმწიფოებიდან მიგრანტების მასიური შემოდინება და სამუშაო ადგილების დაკავებით თუ მსხვილი ტერიტორიების შესყიდვით და დასახლებების მშენებლობით მიმდინარეობს ადგილობრივი მოსახლეობის სწრაფი ჩანაცვლების და მიგრანტების მხრიდან ქვეყნის დემოგრაფიული და ეკონომიკური ექსპანსიის პროცესი, მზარდი საიმიგრაციო საფრთხის შესაჩერებლად აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა საქართველოში დღეს მოქმედ, უკიდურესად ლიბერალურ, ანტი-სახელმწიფოებრივ საიმიგრაციო კანონმდებლობაში. აქედან გამომდინარე, პარტია „კონსერვატორები საქართველოსთვის“ და პეტიციაზე ხელმწომწერები საქართველოს პარლამენტს მივმართავთ საიმიგრაციო კანონმდებლობაში შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებების გატარების მოთხოვნით:

# პეტიცია

**1.** გამკაცრდეს სავიზო რეჟიმი საქართველოსთვის სახიფათო ეთნო-კულტურული ექსპანსიის რისკის მატარებელ აფრიკის და აზიის ქვეყნებთან;

**2.** საიმიგრაციო კანონმდებლობაში დაუყოვნებლივ გაუქმდეს ნორმები, რომელთა საფუძველზეც ქვეყანაში 100 000 დოლარის ღირებულების უძრავი ქონების შეძენის სანაცვლოდ გაიცემა დროებითი ბინადრობის ნებართვა, ხოლო 300 000 დოლარის ღირებულების ქონების შეძენის სანაცვლოდ გაიცემა - უვადო ბინადრობის ნებართვა, ასევე ბინადრობის უფლება რომელიც  გაიცემა საქართველოში დასაქმებულ უცხოელებზე, რომელთაც საარსებო მინიმუმზე ხუთჯერ მეტი ხელფასი აქვთ.

## კერძოდ:

***„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონში“*** გაუქმდეს მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი და მე-15 მუხლის „თ“ და „ლ“ ქვეპუნქტები, რომელთა ძალითაც 100 000 დოლარის ღირებულების უძრავი ქონების შეძენის სანაცვლოდ დროებითი და 300 000 დოლარის ღირებულების ქონების შეძენის სანაცვლოდ ქვეყანაში გაიცემა უვადო ბინადრობის მოწმობა, ასევე გაუქმდეს მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც საქართველოში დასაქმებულ უცხოელს, რომელსაც საარსებო მინიმუმზე ხუთჯერ მეტი ხელფასი აქვს, ეძლევა ბინადრობის ნებართვა. ამოღებულ იქნას მე-16 მუხლის „თ“ და ამავე მუხლის და მე-5  ნაწილები.